ჩემპიონატი

“დინამო” – “სპარტაკი”

19 მაისს ლ. პ. ბერიას სახელობის “დინამოს” სტადიონზე ჩატარდა მორიგი კალენდარული შეხვედრა ფეხბურთში სსრ კავშირის პირველობაზე. თამაშობდნენ ოდესის “სპარტაკისა” და თბილისის “დინამოს” გუნდები.

ტაიმის მეოთხე წუთზე ოდესელებმა გაიტანეს პირველი ბურთი. თბილისელებმა ანგარიში გაათანაბრეს 41-ე წუთზე. გავაშელის მიერ ზუსტად მოწოდებული ბურთი გაიტანა ჯეჯელავამ.

შეჯიბრების პირველი ნახევარი დამთავრდა ფრედ – 1:1.

მეორე ტაიმის დასაწყისში ოდესელებმა ისარგებლეს მეკარე იოსელიანის არაზუსტი თამაშით და გაადიდეს ანგარიში. საპასუხო ბურთის გატანა “დინამოს” თავდამსხმელებმა შესძლეს მხოლოდ მატჩის ბოლო წუთებში. კორნერიდან გავაშელის მიერ მიწოდებული ბურთი თავური გარტყმით მოწინააღმდეგეთა კარში მოათავსა ჯორჯიკიამ.

მატჩი დამთავრდა ფრედ – 2:2.

“ახალგაზრდა კომუნისტი”, 20 ივნისი, 1941 წ.